საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკაჩა

კაკაჩა

კაკაჩა (Buteo), მტაცებელ ფრინველთა გვარი შავარდნისნაირთა რიგისა. ცნობილია 25 სახეობა, გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, მადაგასკარზე, ჰავაის კუნძულებზე, ამერიკაში. საქართველოში გვხვდება 3 სახეობის კ.: ჩვეულებრივი კ. (B. buteo); ველის კ. (B. rufinus); ფეხბანჯგვლიანი კ. (B. lagopus). საქართველოში ჩვეულებრივი კ-ს ორი ქვესახეობა გვხვდება: ქარცი კ. (B. buteo vulpinus), რ-იც მცირე კავკასიონზე ბუდობს, და კავკასიური კ. (B. buteo menetriesi), რ-იც მეტწილად დიდ კავკასიონზე გვხვდება. ზამთარში შემომფრენია ფეხბანჯგვლიანი კ. კ-ს სხეულის სიგრძე 46–57 სმ აღწევს, ფრთების შლილი – 110–130 სმ. დედალი ტანად მამალზე დიდია. იკვებებიან თაგვისებრი მღრღნელებით, პატარ-პატარა ფრინველებით და სხვ. სასარგებლო ფრინველია, საჭიროებს დაცვას. ველის კ. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში".

ა. ბუხნიკაშვილი

რ. ჟორდანია